## ფართის გაზრდა სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში 11109

### ფაქტობრივი გარემოებები

საწარმო, რომელიც წარმოადგენს 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელს, 2015-2017 წლებში საცხოვრებელ კორპუსში არსებული ფართების მიწოდებას განიხილავს დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციად, ვინაიდან მიწოდებული ქონება განთავსებულია ობიექტში, რომელიც შეტანილია სსკ-ის 309-ე მუხლის 81-ე ნაწილის მიხედვით განსაზღვრულ ნუსხაში (კორპუსის მშენებლობაზე გაცემული ნებართვა ძალაშია 2008 წლის 8 აგვისტოსათვის). კორპუსი ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 2017 წელს.

საწარმომ, მშენებლობის გაგრძელების (დასრულების) მიზნით, მიმართა ნებართვის გამცემს და მოითხოვა სამშენებლო ფართის გაზრდა.

ნებართვის გამცემმა დააკმაყოფილა საწარმოს მოთხოვნა და, საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო ფართის გაზრდის მიზნით, შეიტანა ცვლილება შეთანხმებულ არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტში, რაზეც გაიცა ახალი სამშენებლო ნებართვა.

**ვარიანტი I**

ნებართვის გამცემმა სამშენებლო ნებართვა გასცა 2014 წელს.

**ვარიანტი II**

ნებართვის გამცემმა სამშენებლო ნებართვა გასცა 2015 წელს.

### შეფასება

სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2020 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს.

ამავე მუხლის 81-ე ნაწილის შესაბამისად, უძრავი ქონების დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების მიზნით, იმ ობიექტების ნუსხას, რომლებიც აკმაყოფილებს ამავე მუხლის 79-ე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

**ორივე ვარიანტში:**

იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 79-ე და 81-ე ნაწილები ძალაშია 2015 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2020 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს, ამასთანავე, ვინაიდან მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კორპუსი შეტანილია იმ ობიექტების ნუსხაში, რომლის მშენებლობაზე გაცემული ნებართვა ძალაშია 2008 წლის 8 აგვისტოსათვის, მშენებლობის ნებართვის მფლობელის მიერ მასში განთავსებული ფართების მიწოდება გათავისუფლდება დღგ-ისაგან, მიუხედავად იმისა, არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანა საჭიროებს თუ არა ახალ ნებართვას.

### ღონისძიებები

**ორივე ვარიანტში:**

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებით საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ ხდება.

- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2017 წლის 5 დეკემბრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*

**ანოტაცია**
**„ფართის გაზრდა სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში“**
**№11109**
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელოს დამტკიცების მიზანია, სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილით დადგენილი შეღავათით სარგებლობის საკითხის განსაზღვრა, როდესაც ხდება სამშენებლო ფართის გაზრდა.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების თანახმად, საწარმო, რომელიც წარმოადგენს 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელს, 2015-2017 წლებში საცხოვრებელ კორპუსში არსებული ფართების მიწოდებას განიხილავს დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციად, ვინაიდან მიწოდებული ქონება განთავსებულია ობიექტში, რომელიც შეტანილია სსკ-ის 309-ე მუხლის 81-ე ნაწილის მიხედვით განსაზღვრულ ნუსხაში (კორპუსის მშენებლობაზე გაცემული ნებართვა ძალაშია 2008 წლის 8 აგვისტოსათვის). კორპუსი ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 2017 წელს.

საწარმომ, მშენებლობის გაგრძელების (დასრულების) მიზნით, მიმართა ნებართვის გამცემს და მოითხოვა სამშენებლო ფართის გაზრდა. ნებართვის გამცემმა დააკმაყოფილა საწარმოს მოთხოვნა და, საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო ფართის გაზრდის მიზნით, შეიტანა ცვლილება შეთანხმებულ არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტში, რაზეც გაიცა ახალი სამშენებლო ნებართვა.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში ნებართვის გამცემმა სამშენებლო ნებართვა გასცა 2014 წელს. ხოლო მეორე შემთხვევაში ნებართვის გამცემმა სამშენებლო ნებართვა გასცა 2015 წელს.

სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილის „დ'' ქვეპუნქტის თანახმად, იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2020 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს. ამავე მუხლის 81-ე ნაწილის შესაბამისად, უძრავი ქონების დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების მიზნით იმ ობიექტების ნუსხას, რომლებიც აკმაყოფილებს ამავე მუხლის 79-ე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

ორივე შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 79-ე და 81-ე ნაწილები ძალაშია 2015 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2020 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს, ამასთანავე, ვინაიდან მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კორპუსი შეტანილია იმ ობიექტების ნუსხაში, რომლის მშენებლობაზე გაცემული ნებართვა ძალაშია 2008 წლის 8 აგვისტოსათვის, მასში განთავსებული ფართების მიწოდება გათავისუფლდება დღგ-ისაგან, მიუხედავად იმისა, არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანა საჭიროებს თუ არა ახალ ნებართვას.